# ლიდერი კვლავ ორია

მოსკოვი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 23 მაისი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (1:0).

“სპარტაკი”: დასაევი, ბუკიევსკი, სამოხინი, ხიდიატულინი (ჩერენკოვი), რომანცევი, შავლო, იარცევი, მირზოიანი, გავრილოვი, სოროკინი, სიდოროვი (ბულგაკოვი).

“დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე (ყიფიანი), მინაშვილი (გ. მაჩაიძე), ჩელებაძე, შენგელია.

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანო–ფრანკოვსკი).

გაფრთხილებულია იარცევი.

დუბლიორები 1:2.

მატჩი სპარტაკელთა იერიშით დაიწყო. თუმცა, სულ რაღაც ათიოდე წუთში თბილისელებმა გაათანაბრეს თამაში და მეტოქეს საკმაოდ სახიფათოდ შეუტიეს. მაგრამ საკმარისი იყო 37–ე წუთზე სტუმრებს გაუფრთხილებლად ეთამაშათ, რომ “სპარტაკის” სწრაფი შეტევა გოლით დასრულებულიყო – იარცევის დამამთავრებელი დარტყმა ზუსტი გამოდგა – 1:0.

გოლის გაშვების შემდეგ თბილისელთა იერიშები უფრო მწვავე გახდა. მიუხედავად ამისა პირველ ტაიმში მასპინძელთა კარი ხელუხლებელი დარჩა.

სტუმართა აშკარა უპირატესობით წარიმართა მატჩის მეორე ნახევარი. ყიფიანის მინდორზე გამოსვლამ კიდევ უფრო დახვეწა დინამოელთა იერიშები. ბურთი ერთთავად სპარტაკელთა საჯარიმოში ტრიალებს და 61–ე წუთზე თბილისელებმა მიაღწიეს კიდეც თავისას – სამსვლიანი კომბინაცია დარასელიას ძლიერი დარტყმითა და გოლით დასრულდა – 1:1.

ამის შემდეგ “დინამომ” ოდნავ უკლო ტემპს, მაგრამ ამას სრულებით არ შეუშლია მათთვის ხელი, რომ მოსკოველთა კართან არა ერთი და ორი სახიფათო მომენტი შეექმნათ. საბოლოოდ – ფრე.

“ლელო”, 24 მაისი, 1979 წ.